ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მკრტიჩ გინოსიან - საკრებულოს წევრი 30.10.2025 წლიდან

მე, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი (წყრუთის ადმინისტრაცია) წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში (30.10.2025 დან 01.10.2025 წწ) ჩემს მიერ გაწეული საქიანობის ანგარიშს. ამავდროულად ვარ, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტები'' - ს **თავმჯდომარის მოადგილე**, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული სხდომების, კომისიების, ფრაქციის კომისიებზე დასწრების სტატისტიკა ასეთია:

საკრებულოს სხდომა: ჩატარებულ 17 სხდომა, ვესწრებოდი სრულად.

ჩატარდა ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების" 1 სხდომა, რომელსაც ასევე ვესწრებოდი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ჩატარდა 9, დავესწარი -8 .

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია ჩატარდა - 10, დავესწარი - 8.

ჩემს მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება.
- სამანდატო დროებითი კომისიის შექმნის მხარდაჭერა.

- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის დამტკიცება.

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ცვლილებების შეტანა.

საანგარიშო პერიოდში, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მოსახლეობასთან მქონდა მჭიდრო კომუნიკაცია, ყოველდღიურად ვეცნობოდი მათ საჭიროებებსა და პრობლემებს, რომელთა მოგვარებასაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთათ ვახორციელებდი.

მოსახლეობასთან შეხვედრებისას ძირითადად გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული პრობლემები:

- ცენტრალური გზის ასფალტის საფარის მოწყობა
- სოფელ წყრუთში და წირაში დარჩენილი შიდა გზების პრობლემა
- სასმელი წყლის პრობლემა
- სოფელ წირის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია
- სოფელ პატარა წირაში ბავშვებისთვის სარეკრეაციო ადგილის მოწყობა

ჩემს საანგარიშო პერიოდში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, სოფელ წყრუთში და სოფელ წირაში რეაბილიტირდა შიდა გზების ნაწილი და მოეწყო სასმელი წყლის ჭა. (წყალი საკმარისი არ არის)

ასევე, საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებულ და დაგეგმილ ღონიძიებებს.

შევსების თარიღი: 26.10.2026

წარდგენის თარიღი: 30.10.2026

ხელმოწერა: